<u>პროექტი</u>

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 11/02/2020, სარეგისტრაციო კოდი: 010210060.74.086.016001) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების დანართი 20-ით დამტკიცებული „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის“ მე-5 მუხლის:

ა) მე-4 პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ.ა) სასარჩელო წარმოებისა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII[1] და VII[3]-VII[21] თავებით გათვალისწინებული საქმე;“;

ბ) 4[1] პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ.ბ) კერძო საჩივარი/საჩივარი/ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII[1] და VII[3]-VII[21] თავებით გათვალისწინებულ საქმეებზე საჩივარი;“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

განმარტებითი ბარათი
„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტზე

პროექტის მიღების მიზეზი

„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილების დანართი 20-ით დამტკიცებული „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის“ მე-5 მუხლის მე-4 და 4^1 პუნქტებით დადგენილია, რომ რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში განაწილებულ საქმეთა რაოდენობებს შორის ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სხვაობა უნდა იქნეს დაცული საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII^1-VII^{16} თავებით გათვალისწინებულ საქმეთა შემთხვევებში.

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში 2020 წლის 13 ივლისს და 2020 წლის 16 სექტემბერს განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსს დაემატა VII^{17} - VII^{21} თავები. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ შესაბამის პუნქტებს დაემატოს საპროცესო კოდექსში ცვლილების შედეგად დამატებული ახალი დავათა კატეგორიები.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

პროექტის მიღება არ გამოიწვევს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფას და გავლენას არ მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, სახელმწიფოსთვის არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

პროექტის ავტორი და წარმდგენი

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.